SAFE FROM FEAR
SAFE FROM VIOLENCE

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

- ბავშვთა უფლებები -

შესავალი

1. ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ან, შემოკლებით, სტამბოლის კონვენცია, ყურადღებას ამახვილებს ქალებსა და გოგონებზე, ვინაიდან ისინი განიცდიან ძალადობას გენდერის საფუძველზე, როგორიცაა ადევნება, სქესობრივი შევიწროება, სქესობრივი ძალადობა, ოჯახში ძალადობა, იძულებითი ქორწინება, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, იძულებითი სტერილიზაცია და იძულებითი აბორტი. ეს გულისხმობს, რომ სტამბოლის კონვენცია მოიცავს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია გენდერის საფუძველზე გოგონებისადმი ძალადობის თავიდან აცილებაზე, ამგვარი ძალადობისგან მათ დაცვასა და დამნაშავეთა დევნაზე. ქალებსა და გოგონებზე ყურადღების გამახვილება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ძირითადად მათ მიმართ ხორციელდება კონვენციით გათვალისწინებული ძალადობა, რაც, ისტორიულად, მამაკაცსა და ქალს შორის არათანაბარ ძალთა ფარდობის გამოვლინებაა.

• თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ კონვენცია არ იცავს ბიჭებს. გარდა დებულებებისა, რომლებიც შეეხება ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრებას, იძულებით სტერილიზაციასა და აბორტს, სტამბოლის კონვენცია შემუშავებულია გენდერის თვალსაზრისით ნეიტრალურ ენაზე. ეს ნიშნავს, რომ მისი თითოეული დებულება გულისხმობს იმ ბიჭების დაცვასაც, რომელთა მიმართაც განხორციელდა კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმის ძალადობა. ვინაიდან კონვენცია მოიცავს ოჯახში ძალადობას, იგი წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული, რადგან კონვენციის ავტორები აღიარებენ, რომ ბევრი ბავშვი, გოგონა და ბიჭი, ოჯახური ძალადობის მსხვერპლია და მათ დახმარება ესაჭიროებათ.

ბავშვები და ოჯახში ძალადობა

• მართალია, მნიშვნელოვანია ვაღიაროთ, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი უმეტესად ქალები არიან, თუმცა არანაკლებ საგულისხმოა იმის აღნიშვნა, რომ ამ ქალების უმეტესობას ბავშვები ჰყავს. ზოგიერთ შემთხვევაში, ძალადობა მიმართულია ორივეს - როგორც ქალების, ისე ბავშვების მიმართ. ზოგჯერ ბავშვები არ არიან სამიზნეები, მაგრამ არიან თავიანთი დედების მიმართ ძალადობის შემსწრენი. ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი იტანჯებიან და სჭირდებათ დაცვა.

• სტამბოლის კონვენციის ავტორები კონვენციის შესახებ მოლაპარაკებისას განიხილავდნენ ორივე სცენარს. კონვენციაში მრავალი დებულებაა, რომლებიც შეეხება ორივეს: ბავშვებს, როგორც ფიზიკური, სქესობრივი ან ფსიქოლოგიური ძალადობის პირდაპირ მსხვერპლთ, და ბავშვებს, რომლებიც გახდნენ თავიანთ მშობლებს შორის ამგვარი ძალადობის მოწმენი.

• მაგალითად, პრევენციულ ღონისძიებებთან მიმართებით, სტამბოლის კონვენცია წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, ჩაატარონ ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული კამპანიები ძალადობის სხვადასხვა ფორმის, მათ შორის, ოჯახში ძალადობის შესახებ. კონვენციაში კონკრეტულად არის მითითებული, რომ ამგვარმა კამპანიამ ხაზი უნდა გაუსვას მსგავსი ძალადობის ზეგავლენას ბავშვზე და მის შედეგებს (მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი). ეს გულისხმობს ცნობიერების ამაღლებას არა მხოლოდ იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედებს ბავშვებზე მშობლებს შორის ძალადობა გრძელვადიან პერსპექტივაში, არამედ იმაზეც, რა უარყოფით გავლენას მოახდენს, მაგალითად, უმცროს ძმასა ან დაზე უფროსი დის ფიზიკური შეურაცხყოფა, კონტროლი ან მკვლელობა ე. წ. ოჯახის ღირსების დაცვის მიზნით.

• როდესაც საქმე შეეხება დაცვით და მხარდამჭერ მომსახურებას, სტამბოლის კონვენცია უზრუნველყოფს, რომ ზომების მიღებისას გაითვალისწინონ ურთიერთკავშირი მსხვერპლს, დამნაშავეს, ბავშვსა და ფართო სოციალურ გარემოს შორის. ეს მიზნად ისახავს ისეთი მდგომარეობის თავიდან აცილებას, როდესაც მსხვერპლის საჭიროებებზე რეაგირება ხდება იზოლირებულად, მათი სოციალური რეალობის გაუთვალისწინებლად (მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი). ძალადობის მსხვერპლი დედის მიმართ მიღებული ზომები, მაგალითად, დედისა და მისი შვილების თავშესაფარში გადაყვანა, ხშირად იწვევს ბავშვების სწავლის პროცესის შეწყვეტას, ან მათ იზოლაციას. ასეთ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს ბალანსი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი თავშესაფრები უკეთესად იყოს აღჭურვილი და მორგებული ბავშვების საჭიროებებზე. მხოლოდ გასათენებელი ადგილის მიჩენა მათთვის არ კმარა. სტამბოლის კონვენცია ამგვარ სიტუაციაში მოითხოვს სპეციალისტების ჩართვას ბავშვების მხარდასაჭერად, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე (მუხლები 22, 23, 26). ეს გულისხმობს ასაკის შესაბამის ფსიქო-სოციალურ კონსულტაციას და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

• მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად, სტამბოლის კონვენციის თანახმად, მოსამართლეებმა უნდა გაითვალისწინონ ოჯახური ძალადობის ნებისმიერი ცნობილი შემთხვევა, როდესაც იღებენ გადაწყვეტილებას ბავშვთა მეურვეობისა და მონახულების უფლებაზე (31-ე მუხლი). არსებობს შემთხვევები, როდესაც მონახულების და, მეტიც, მეურვეობის უფლება მიიღო მოძალადე მშობელმა, იმის გამო, რომ მშობელთან ურთიერთობის შენარჩუნება ჩაითვალა ბავშვის საუკეთესო ინტერესად. ამჟამად სტამბოლის კონვენცია ნათლად ადგენს, რომ არამოძალადე მზრუნველის ან თავად ბავშვის მიმართ ძალადობა გათვალისწინებული უნდა იყოს მშობლის უფლებების მინიჭებაზე გადაწყვეტილებების მიღებისას. მონახულებისა და მეურვეობის უფლების განხორციელებამ რისკი არ უნდა შეუქმნას მსხვერპლის, ან მსხვერპლის ბავშვების უსაფრთხოებას.

ბავშვები და იძულებითი ქორწინება

• ბევრ შემთხვევაში, იძულებითი ქორწინების მსხვერპლნი 18 წლამდე ასაკის პირები არიან. ხშირად ისინი, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, არ ქორწინდებიან თავიანთ ქვეყანაში და მოტყუებით ან იძულებით ამგზავრებენ სხვა ქვეყანაში. სტამბოლის კონვენცია ორივე შემთხვევაში ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას: ბავშვის იძულებით ქორწინებას და, ასევე, სხვა ქვეყანაში გატყუებას მისი ნების საწინააღმდეგოდ დაქორწინებისათვის (37-ე მუხლი). ეს მიზნად ისახავს იძულებითი ქორწინების კრიმინალიზაციას, მათ შორის, ისეთი

საბაბის გამოყენებითაც, როგორიცაა ბავშვის საზღვარგარეთ გამგზავრება ოჯახის წევრთა მოსანახულებლად, როდესაც ვიზიტის რეალურ მიზანი სწორედ იძულებითი ქორწინებაა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონვენცია არ ითვალისწინებს ადრეულ ქორწინებას და არ ეხება საქორწინო ასაკის საკითხს.

• ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ერთ-ერთი სისხლის სამართლის დანაშაულია, რომელიც არღვევს გენდერული ნეიტრალიტეტის პრინციპს (38-ე მუხლი). მისი მსხვერპლი აუცილებლად ქალი ან გოგონაა. იგი მიზნად ისახავს ქალის სასქესო ორგანოთა გარკვეული ნაწილების მოჭრის ტრადიციული პრაქტიკის კრიმინალიზაციას. ეს პრაქტიკა მთელი ცხოვრების მანძილზე გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მსხვერპლს და, ჩვეულებრივ, ხორციელდება მისი თანხმობის გარეშე. ხშირად ის მიემართება ახალგაზრდა გოგონებს. ამ დანაშაულის კრიმინალიზაციით, სტამბოლის კონვენციის ავტორებმა მოახდინეს დემონსტრირება, რომ ეს არის ქალთა და გოგონათა პირადი ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა, რომელიც კანონით უნდა იყოს დაცული.

ბავშვები და ე.წ. „ღირსების“ სახელით ჩადენილი დანაშაული

• სტამბოლის კონვენცია არეგულირებს ე.წ. “ღირსების” სახელით ჩადენილ დანაშაულს - რაც გულისხმობს დამნაშავის მიერ მსხვერპლის დასჯას კონკრეტული ქცევისთვის - კერძოდ, ორი გზით: პირველი, ის უზრუნველყოფს, რომ სასამართლომ სისხლის სამართლის პროცესის დროს კულტურა, ადათ-წესები, რელიგია, ტრადიცია ან ე.წ. „ღირსების საკითხი“ არ მიიჩნიოს ძალადობის აქტის გამამართლებელ მიზეზად (42-ე მუხლის 1-ლი პუნქტი); და მეორე, ბავშვის, მაგალითად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი ბავშვის წაქეზება არ ამცირებდეს წამქეზებლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (42-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ხშირ შემთხვევაში, მკვლელობის ჩასადენად შეირჩევა ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა წევრი, რომელსაც, მისი ასაკის გამო, არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და არწმუნებენ, რომ ეს აქტი მართებულია. ამგვარი ქმედება დამანგრეველ გავლენას ახდენს ბავშვზე. შესაბამისად, გასათვალისწინებელია მისი ინტერესები.

გამოძიება და სამართალწარმოება, რომელშიც მონაწილეობს ბავშვი მსხვერპლის ან მოწმის სტატუსით.

• კონვენციის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ნებისმიერი ძალადობის აღმოფხვრა ქალის მიმართ და ოჯახში. ამის მისაღწევად, მსგავსი საქმეების გამოძიებისა და სამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის, კონვენცია სასჯელაღსრულების ორგანოებს სთავაზობს ღონისძიებათა ერთობლიობას. გარდა ამისა, ის მოიცავს ზომებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მსხვერპლს, წარადგინოს საჩივარი ან მისცეს ჩვენება თუნდაც ოჯახის უახლოესი წევრის წინააღმდეგ. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, და ევროპის საბჭოს ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე, სტამბოლის კონვენცია წევრი სახელმწიფოებისგან ითხოვს მსხვერპლი და მოწმე ბავშვების სპეციალურ დაცვას გამოძიებისა და სამართალწარმოების ყველა ეტაპზე (56-ე მუხლი). ბავშვები უფრო დაუცველნი არიან და მეტი საშიშროებაა, რომ დამნაშავემ ისინი სასამართლო პროცესზე დააშინოს პირისპირ შეხვედრისას. ამ მიზეზით, ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა იყოს სახელმძღვანელო პრინციპი, როდესაც ის სასამართლოს წინაშე წარდგება ოჯახში ძალადობის გამო.

კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ბავშვის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

• სტამბოლის კონვენციის მოქმედების სფეროში შედის კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულები, მათ შორის, ოჯახში ძალადობის ყველა ელემენტი: ფიზიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობა და ფსიქოლოგიური ძალადობა - დამოუკიდებლად იმისა, სრულწლოვან მსხვერპლს მიემართება თუ ბავშვს. სტამბოლის კონვენცია უფრო მკაცრ სასჯელს აწესებს (46-ე მუხლი), თუ დანაშაული ჩადენილია ბავშვის წინააღმდეგ, ან მისი თანდასწრებით. ეს ასევე შეეხება დანაშაულს, ჩადენილს ოჯახის წევრის ან იმ პირის მიერ, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თავისი ძალაუფლება. მსგავს დანაშაულში წინა მსჯავრდება გამოიწვევს უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდებას. ამ დებულებით კონვენციის ავტორებს სურდათ, რომ სასჯელის განსაზღვრისას სასამართლოს გაეთვალისწინებინა ოჯახში ძალადობის განსაკუთრებით დამანგრეველი შედეგები და მისი განმეორებითი ბუნება.

ბავშვები, როგორც ცვლილების მამოძრავებლები

• სტამბოლის კონვენცია ბავშვებს არა მარტო აღიარებს ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლად, არამედ აკისრებს დიდ პასუხისმგებლობას, როგორც ცვლილების მამოძრავებელ ძალას. დღევანდელი გოგონები მომავალში გახდებიან ქალები, როგორც ბიჭები იქცევიან მამაკაცებად. მიდგომები, რწმენა, ქცევითი მოდელები სწორედ ადრეულ ასაკში ყალიბდება. გენდერული ძალადობის შესაწყვეტად სტამბოლის კონვენცია დიდ ყურადღებას უთმობს მენტალიტეტის, დამოკიდებულებისა და გენდერული ურთიერთობების შეცვლის მნიშვნელობას. ამ მიზნით, ის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს, ბავშვებში დაამკვიდრონ ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის ცნება, გენდერული როლები და პიროვნებათაშორისი კონფლიქტების ძალადობის გარეშე მოგვარება (მე-14 მუხლი). ურთიერთპატივისცემის საფუძველზე სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის დამყარება - დომინირებისა და კონტროლის ნაცვლად - საუკეთესო გზაა გენდერის ნიშნით ძალადობის თავიდან ასაცილებლად. ამიტომ, კონვენცია მოუწოდებს საზოგადოების ყველა წევრს, განსაკუთრებით კი მამაკაცებსა და ბიჭებს, აქტიურად შეუწყონ ხელი ძალადობის პრევენციას (მე-12 მუხლი).

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: www.coe.int/conventionviolence
ან დაუკავშირდით: conventionviolence@coe.int